

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

მარინე თოფჩიშვილი

უალკოჰოლო სასმელებისა და მინერალური წყლების ბიზნესის
განვითარების სტრატეგია საქართველოში

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

სადოქტორო პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირება; შიფრი - 02

თბილისი

2016

დისერტაცია შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტში

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

პროფესორი: /ლ. კოჭლამაზაშვილი/

რეცენზენტები: -----

დისერტაციის დაცვა შედგება 2016 წლის -----, ---- საათზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს კოლეგიის სხდომაზე.

მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ხოლო ავტორეფერატის – სტუ-ს ვებ-გვერდზე.

სადისერტაციო საბჭოს მდივანი

ფილოსოფიის დოქტორი,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

პროფესორი: /ს. ხიზანიშვილი/

Summary

The thesis, which is dedicated to non-alcoholic drinks and mineral water business development strategy in Georgia, consisting of 170 pages and "PhD thesis submitted instruction execution," according to the title page, signature page, copyright page, resume, contents, list of tables, list of drawings, the text of the list of references. The main text, in turn, consists of introduction, literature review, the results will be discussed and will be made conclusion.

In the introduction is well-founded the study of the topic; studies comments of goals and objectives, the object and the subject, theoretical and methodological foundations and informational base, scientific measure touch; showing the work of theoretical and practical significance, approbation and robataction of publication, volume and structure.

There are asked and answered questions about the review of the literature: What is the origin of the problem raised dissertation work, what is already known about the problem, what alternative problem method is developed in this work and which ones are used.

There are shown results and discussions in three paragraphs (eight chapters).

The paper deals with soft drinks and mineral water market, which provides Georgia with the production and sale with proper coordination, the market profitable segment determination, non-alcoholic drinks and mineral water production role in the assessment of the country's economic development, the products produced in competitiveness indices comprehension, non-alcoholic beverages to improve the competitiveness of roads, provision of marketing tools use the impact of the development of the business.

The rich natural resources in a special place in many of its mineral springs, whose presence and abundance to some extent determine the country's territorial recreational system of specialization.

Mineral springs high with its therapeutic properties of the fusion of nature exceptional beauty and diversity, favorable climatic conditions, allowing Georgia to develop the modern requirements of the health resorts and mineral water bottling-production, which is collectively the real basis for therapeutic and recreational tourism and regional tourism clusters development.

The paper is summarized and analyzed in the world of soft drinks on the market supply-demand balance and the globalization of the modern standards of user behavior on the consumer market. The demand for the formation of the new criteria and the criteria for the sale of properties.

Modern competitive with this innovative approach to the product quality has established the concept of the necessity of developing environmentally national food - served to highlight the traditional, natural and environmentally friendly production and sale.

Soft drinks and mineral water in the market today, one of the major and growing demand in the world market. Its necessary for the development of local companies producing for maximum support, long-term credits to the tax

concessions, to guarantee fair competition in the market, the implementation of the advertising business, foreign products are key factors in determining the competitiveness of the study and use.

Soft drinks and mineral water business in the world market needed more work to firmly develop the correct strategy and tactics, as the whole country, as well as of each individual producer level. Since the high-quality, competitive market place in the world to produce only chance.

The report briefly formed dissertation research

The main results, conclusions and suggestions, which can be used by the government representative and executive bodies. Educational and research institutions as well as relevant training programs and scientific report.

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. გლობალური კონკურენციის პირობებში, მსოფლიო ბაზარზე დამკვიდრებისათვის დიდ როლს ასრულებს თავისუფალი კონკურენცია, რომელიც განაპირობებს საქონლისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, ფასების რეგულირებას, ხელს უწყობს სიახლეების დანერგვას, პროდუქტიულობის ამაღლებას და, შესაბამისად, საზოგადოების ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდას. ძირითადი ფაქტორები, რომლებიც ქვეყნის ტერიტორიაზე ბიზნესის წარმოებას და კონკურენტუნარიანი ბაზრის ფორმირებას უზრუნველყოფენ არის: ბუნებრივი და ადამიანური რესურსების არსებობა, უცხოური და ლოკალური ინვესტიციების მოზიდვა-კონსოლიდაცია, ღია და ძლიერი ადგილობრივი კონკურენცია და ინტელექტუალური საკუთრების უზრუნველყოფა და დაცვა.

უალკოჰოლო სასმელებისა და მინერალური წყლების ბაზარი დღეისათვის ერთ-ერთი უმთავრესი და მზარდი მოთხოვნილების ბაზარია მსოფლიოში. მისი განვითარებისთვის მეტად საჭიროა ადგილობრივი მწარმოებელი კომპანიებისათვის მაქსიმალური ხელშეწყობა, გრძელვადიანი საკრედიტო სისტემის ამოქმედება, საგადასახადო შეღავათების დაწესება, ბაზარზე სამართლიანი კონკურენციის უზრუნველყოფა, სარეკლამო

ბიზნესის განხორციელება, უცხოური პროდუქტების კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორების შესწავლა და გამოყენება.

დღეს, როდესაც ჩვენი ქვეყანა ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს გლობალურ ბაზარზე დამკვიდრებისაკენ, საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საწარმოო პოტენციალის ყოველ შემადგენელ ნაწილს, ყველა რესურსს, რომელიც გამიზნულია ბუნებრივი, შრომითი და მატერიალური რესურსების ეკონომიურ გამოყენებაზე და იძლევა როგორც ეკონომიკურ, ასევე სოციალურ ეფექტს.

უკანასკნელ პერიოდში უალკოჰოლო სასმელების მსოფლიო ბაზარზე ჩამოყალიბებულია მწარმოებლებისათვის მეტად ხელსაყრელი გარემო, რაც გამოიხატება ნატურალურ, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტზე-უალკოჰოლო სასმელებზე მოთხოვნის განუხრელი ზრდით, რაც თავის მხრივ თანამედროვე ცხოვრების რიტმის სპეციფიკითაა განპირობებული. გასათვალისწინებელია საქართველოში უალკოჰოლო სასმელების პროდუქციის წარმოების საუკუნოვანი გამოცდილება, მინერალური წყლების ტრადიციული ბაზრის არსებობა, ქვეყნის სიახლოვე აზიისა და აფრიკის არაბულ ქვეყნებთან, რომლებიც ნატურალური უალკოჰოლო სასმელების დეფიციტს განიცდიან. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ 21-ე საუკუნეშივე რიგ ქვეყანაში ამ მხრივ კატასტროფული მდგომარეობა შეიქმნება. ამ საქმეში ძალზე მნიშვნელოვანია სარეკლამო საქმიანობის გაფართოება და ელექტრონული ვაჭრობის ორგანიზაცია, რომელიც ხელს შეუწყობს ბიზნესის განვითარებას და გლობალურ და რეგიონულ პროცესებში ჩართვას.

მაღალი საექსპორტო პოტენციალისა და სტაბილური ზრდის რეალური პერსპექტივის გამო, საქართველოს მინერალური და სასმელი წყლების ინდუსტრია ეროვნული ეკონომიკის პრიორიტეტული დარგი უნდა გახდეს. მისი განვითარების უზრუნველსაყოფად, დიდი მნიშვნელობა აქვს ადეკვატური სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბებას, რომელმაც ხელსაყრელი ბიზნეს – გარემო უნდა შექმნას.

ქართული უალკოჰოლო სასმელების და მინერალური წყლების პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე მყარად დასამკვიდრებლად საჭიროა შემუშავებული იქნას განვითარების სწორი სტრატეგია და ტაქტიკა, როგორც მთლიანად ქვეყნის მასშტაბით, ასევე თითოეული მწარმოებლის დონეზე. მარკეტინგული მართვის პროცესში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მყიდველთა ქცევის თავისებურების დროულ და ხარისხიან შესწავლას- მათი ცხოვრების სტილს, წესს და კულტურულ ფაქტორებს. საქონელთან ურთიერთობის თვალსაზრისით გასათვალისწინებელია სხვადასხვა სუბკულტურული თვისებები და მოთხოვნილებები, რომლებიც ამ კონკრეტულ საქონელს უკავშირდება, საზოგადოების ცალკეული სოციალური ფენების შეხედულებანი, წარმოდგენები და ქცევის წესები, რომელთაც მოცემული მომხმარებელი იზიარებს და მეტ-ნაკლებად იცავს.

უალკოჰოლო სასმელები და მინერალური წყლები საკვებ პროდუქტთა ჯგუფს მიეკუთვნება, შესაბამისად, მარკეტინგული დაგეგმვისა და მართვის პროცესში აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული, ზემოთ აღნიშნულ ფაქტორებთან ერთად, მისი ადგილი და როლი ადამიანის კვების რეჟიმში ფიზიოლოგიური თვალსაზრისით.

გლობალური კონკურენციის პირობებში, მსოფლიო ბაზარზე დამკვიდრებისათვის დიდ როლს ასრულებს წარმოებული უალკოჰოლო სასმელების და მინერალური წყლების ტექნიკურ-ტექნოლოგიური დონე. სრულყოფილი ტექნიკა და ტექნოლოგია განაპირობებს მაღალხარისხიანი, მაღალი სამომხმარებლო თვისებების მქონე უალკოჰოლო სასმელებისა და მინერალური წყლების პროდუქციის წარმოებას.

საქართველოს მდიდარ ბუნებრივ რესურსებში განსაკუთრებული ადგილი უკავია მის მრავალრიცხოვან მინერალურ წყაროებს, რომელთა არსებობა და სიუხვე გარკვეულწილად განსაზღვრავს ქვეყნის ტერიტორიულ-რეკრეაციული სისტემის სპეციალიზაციას. მინერალური წყაროების იშვიათი ბალნეო-თერაპიული თვისებების შერწყმა ბუნების განსაკუთრებულ სილამაზესთან და მრავალფეროვნებასთან, ხელსაყრელი კლიმატური

პირობები, საშუალებას იძლევა საქართველოში განვითარდეს როგორც თანამედროვე მოთხოვნილების შესაბამისი ბალნეოლოგიური კურორტები, ისე სამკურნალო მინერალური წყლების ჩამოსხმა-წარმოება, რაც ერთობლივად რეალურ საფუძველს ქმნის სამკურნალო-რეკრეაციული ტურიზმის განვითარებისათვის.

გლობალიზაცია, მსოფლიო ვაჭრობის მაღალი ტემპები და საერთაშორისო კონკურენციის გამწვავება აიძულებს უაღკოპოლო სასმელებისა და მინერალური წყლების წარმოების დარგის მესვეურებს მუდმივად თვალყური ადევნონ ბიზნესის განვითარების სტრატეგიას, გათვალონ თავიანთი შესაძლებლობები საერთაშორისო ბაზარზე, სადაც მძაფრი კონკურენციაა ადგილის მოპოვების, შენარჩუნებისა და გაფართოებისათვის.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის მიზანია საქართველოში უაღკოპოლო სასმელების ბაზრის კომპლექსური გამოკვლევა და მისი განვითარების პერსპექტივებისა და სტრატეგიის შემუშავება. კვლევის ძირითადი მიზნებიდან გამომდინარე, დასახულია შემდეგი ამოცანები:

- უაღკოპოლო სასმელებისა და მინერალური წყლების წარმოების როლის შეფასება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში;
- წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლების გააზრება;
- უაღკოპოლო სასმელების კონკურენტუნარიანობის ამაღლების გზების განსაზღვრა;
- მარკეტინგული ინსტრუმენტების გამოყენების გავლენის დადგენა ბიზნესის განვითარებაზე;
- მომხმარებლის ქცევის შესწავლა და მიღებული მონაცემების საფუძველზე ბაზრის განვითარების მიმართულებებსა და პერსპექტივებზე რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის ობიექტი და საგანი. კვლევის ობიექტს, კვლევის მიზნიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, წარმოადგენს საქართველოს უაღკოპოლო სასმელების და მინერალური წყლების წარმოება, ბაზარი და მომხმარებელი.

კვლევის საგანია საქართველოში უაღკოპოლო სასმელების და მინერალური წყლების წარმოების მოცულობის მოთხოვნა-მიწოდების შესაბამისობის და კონკურენტუნარიანობის ანალიზის საფუძველზე დარგის განვითარების პერსპექტივები.

კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები და ემპირიული ბაზა. სადოქტორო კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს საკვლევი პროცესების არსებითი მახასიათებლები, მათი ფორმების გამოვლენა, მათთვის დამახასიათებელი წინააღმდეგობების გამოყოფა და განვითარების ტენდენციების განსაზღვრა.

კვლევა ჩატარდა მეცნიერული შემეცნების საბაზო მეთოდების შეთანაწყობით ისეთ საყოველთაოდ აღიარებულ კერძო მეთოდებთან, როგორცაა: ეკონომიკური ანალიზი და სინთეზი, ისტორიული და ლოგიკური განზოგადება და აბსტრაქცია, შედარებითი ანალიზი, გრაფიკული ანალიზი და სტატისტიკური დაჯგუფება.

კვლევის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ქართველ და უცხოელ მეცნიერთა შრომები; სპეციალიზებული ჟურნალების მეცნიერული პუბლიკაციები; სახელმწიფო, საზოგადოებრივი ეკონომიკური ინსტიტუტების ანალიტიკური ანგარიშები; საერთაშორისო საკანონმდებლო და ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტები; მსოფლიო პრაქტიკის ამსახველი ლიტერატურული თუ სხვა სახის წყაროები.

კვლევის ემპირიული ბაზა საკმაოდ მრავალფეროვანია და მოიცავს შემდეგ წყაროებს: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სტრუქტურების საინფორმაციო-სტატისტიკური და ანალიტიკური მასალები; ქართველი ავტორების მონოგრაფიები და სამეცნიერო სტატიები, სასწავლო ლიტერატურასა და პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული მონაცემები; დისერტანტის მიერ დამოუკიდებლად ჩატარებული კვლევის შედეგები.

კვლევის მეცნიერული სიახლე. ნაშრომის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს:

1. დადგენილია უალკოჰოლო სასმელების და მინერალური წყლების კონკურენტუნარიანობის დონე ბაზრის სეგმენტის განსაზღვრით;
2. მარკეტინგული კვლევის საფუძველზე შესწავლილია უალკოჰოლო სასმელებისა და მინერალური წყლების ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების ბალანსი;
3. განსაზღვრულია უალკოჰოლო სასმელების და მინერალური წყლების მოთხოვნის ახალი კრიტერიუმები საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით;
4. შემუშავებულია უალკოჰოლო სასმელების და მინერალური წყლების ბაზარზე, მზარდი მოთხოვნილებების ფონზე, ადგილობრივი მწარმოებელი კომპანიებისათვის მაქსიმალური ხელშემწყობი ფაქტორები;
5. ჩამოყალიბებულია რეკომენდაციები ბაზარზე სამართლიანი კონკურენციის უზრუნველსაყოფად გრძელვადიანი საკრედიტო სისტემის ამოქმედების შესახებ, საგადასახადო შეღავათების დაწესებით.
6. შემოთავაზებულია უალკოჰოლო სასმელებისა და მინერალური წყლების კლასტერის მოდელი, რომელიც ეფუძნება ქვეყნის რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რეალურ მდგომარეობას.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა კვლევის შედეგად მიღებული თეორიული და პრაქტიკული რეკომენდაციების გამოყენება იძლევა უალკოჰოლო სასმელებისა და მინერალური წყლების ბაზრის განვითარების პერსპექტივების განსაზღვრის საშუალებას. ნაშრომში გამოყენებული კვლევის მეთოდები მისაღებია უალკოჰოლო სასმელების წარმოებისათვის საჭირო ბუნებრივი რესურსების უკეთ გამოყენებისა და კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნის და, ასევე, სხვა ჯგუფის სასურსათო საქონლის ბაზრის კვლევის პროცესშიც.

ნაშრომი პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს შესაბამისი პროფილის სასწავლო პროგრამებისა და სამეცნიერო

ანგარიშების მომზადებაში.

ნაშრომის აპრობაცია. სადისერტაციო თემის ირგვლივ დაცულია ორი სემინარი და სამი კოლოქიუმი. ასევე აღნიშნული თემატიკიდან გამომდინარე, გამოქვეყნებულია 3 ნაშრომი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში და 2 მოხსენება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე.

დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა. ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 170 გვერდის, შედგება შესავალი ნაწილის, ლიტერატურის მიმოხილვის, ძირითადი ტექსტის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისაგან. ნაშრომის ძირითადი ტექსტი შედგება 3 თავისა და 8 ქვეთავისაგან და თვალსაჩინოებისათვის მასში წარმოდგენილია ცხრილები და დიაგრამები.

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

ნაშრომის შესავალ ნაწილში დასაბუთებულია საკვლევი თემის აქტუალობა, შესწავლილია მისი მეცნიერული დამუშავების თანამედროვე მდგომარეობა. გადმოცემულია კვლევის მიზანი, ამოცანები, ობიექტი, საგანი, თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები და ემპირიული ბაზა, ჩამოყალიბებულია დაცვაზე გასატანი დებულებები, ნაშრომის ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლის ელემენტები, განსაზღვრულია ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.

ნაშრომის ლიტერატურის მიმოხილვაში ასახულია იმ მეცნიერთა შრომების, მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების, ცალკეული პუბლიკაციების მნიშვნელობები, რომელიც დახმარებას უწევს უალკოჰოლო სასმელებისა და მინერალური წყლების ბიზნესის განვითარების სტრატეგიის შემუშავების პროცესს.

მოცემულია სასურსათო პროდუქტების სამომხმარებლო თვისებებისა და მათი განმაპირობებელი მაჩვენებლების დახასიათება. უალკოჰოლო

სასმელების კვებითი, ბიოლოგიური, ემერგეტიკული და ფიზიოლოგიური ღირებულებების საფუძვლები.

წარმოდგენილია თანამედროვე ბიზნესის კონკურენტუნარიანობის აქტუალური საკითხები. კონკურენტუნარიანობა განხილულია, როგორც ბიზნესის თეორიისა და პრაქტიკის სინთეზი, ასახულია ადამიანური და ფინანსური რესურსების როლი და მნიშვნელობა კონკურენტუნარიანობის პრობლემატიკასთან კონტექსტში.

განხილულია კლასტერების ჩამოყალიბების, ფუნქციონირებისა და განვითარების სხვადასხვა ასპექტები, გაანალიზებულია კლასტერული პოლიტიკის ფორმირების საზღვარგარეთული გამოცდილება, ქართული და უცხოური ქვეყნების ინტეგრაციული პროცესების განვითარების ტენდენციები, რომლებიც მოწმობს რომ ინტეგრირებული სტრუქტურები, რომლებიც აერთიანებენ საბოლოო პროდუქციის წარმოების ყველა რგოლს, საბაზრო ეკონომიკაში უფრო ეფექტური და მომგებიანია.

სადისერტაციო ნაშრომის **პირველ თავში** „უალკოჰოლო სასმელებისა და მინერალური წყლების ბაზრის თავისებურებანი“ ასახულია კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები, უალკოჰოლო სასმელების ადგილი და როლი მომხმარებელთა ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ 1974 წელს მიიღო რეზოლუცია „საერთაშორისო ვალდებულებები მსოფლიოში სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად“. მის თანახმად სასურსათო უსაფრთხოება არის „მსოფლიოს ყოველი მცხოვრების მუდმივი, გარანტირებული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მსოფლიოს სასურსათო რესურსებზე იმ მოცულობებში, რომელიც აუცილებელია აქტიური და ჯანმრთელი სიცოცხლისათვის“.

საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი დემოკრატიული ქვეყნის, უმთავრესი ამოცანაა სურსათზე ქვეყნის მოსახლეობის აუცილებელი

მოთხოვნის დაკმაყოფილება. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ვიმსჯელოთ ქვეყანაში „კეთილდღეობის“ დასაწყისის შესახებ.

კეთილდღეობის პროცესის დასაწყისად, უპირველეს ყოვლისა, უნდა მივიჩნიოთ პირადი მოხმარების საგნებით მოსახლეობის უზრუნველყოფის დონის ამაღლება და მომხმარებლის სტრუქტურის გაუმჯობესება. მოსახლეობის კვების პირობების სრულყოფის მიზნით, აუცილებელია შემდეგი პირობების უზრუნველყოფა:

- ქვეყანას უნდა გააჩნდეს იმ რაოდენობისა და ასორტიმენტის კვების პროდუქტები, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის ნორმალური განვითარებისა და აქტივობის შენარჩუნებას;
- ნებისმიერ ინდივიდს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა მოიპოვოს სურსათი ან მისი შექმნის საშუალებები მინიმალური სამომხმარებლო კალათის ნორმის მიხედვით.

ადამიანის ჯანმრთელობა დიდადაა დამოკიდებული კვების სწორ ორგანიზაციაზე. კვების პროდუქტებით მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილებაში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის უალკოჰოლო სასმელებს და მინერალური წყლებს, რომელიც ხასიათდება სასიამოვნო გემოთი და არომატით, შეთვისების კარგი უნარით.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბაზრის დაუფლებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება. საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბება ეროვნული მეურნეობის ინტერესებიდან გამომდინარეობს და მის მიერ არის განპირობებული. ეროვნული მეურნეობის ინტერესები ერის ინტერესების გამოხატულებაა, რომელშიც აისახება ადამიანის როგორც მატერიალური, ისე პიროვნული მისწრაფებები.

უალკოჰოლო სასმელებისა და მინერალური წყლების ბაზრის კვლევა გულისხმობს ურთიერთდაკავშირებული მოვლენების შესწავლას, მათზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენას, ანალიზს, მათი მოქმედებით გამოწვეული ცვლილებების გავლენის დადგენას, გამოუყენებელი რეზერვების აღმოჩენას, კვლევის პროცესში მიღებული შედეგების კრიტიკულ შეფასებასა

და განზოგადებას. იგი მიზნად ისახავს ბაზრის ძირითადი შემადგენელი ელემენტის – მოთხოვნასა და მიწოდებას შორის წონასწორული თანაფარდობის ჩამოყალიბებისათვის საჭირო რეკომენდაციების შემუშავებას.

ყოველი სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნული წარმოებისა და საშინაო და საგარეო საბაზრო ურთიერთობების განვითარება-განმტკიცებას. ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრა, უპირველეს ყოვლისა, საშინაო ბაზრის შემდგომ განვითარებას, მის სფეროში არსებული მოვლენებისა და პროცესების მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გასაზღვრასა და საერთო ბაზრის სტრუქტურებში მიმდინარე ცვლილებების შესწავლას მოითხოვს.

მარკეტინგული კონცეფციის შემუშავება აუცილებელია ნებისმიერი საქონლის, წარმოების ბაზარზე დასამკვიდრებლად.

უალკოჰოლო სასმელების და მინერალური წყლების სამეწარმეო საქმიანობის ძირითად საკითხებს მიეკუთვნება:

- სამეწარმეო პოლიტიკის სტრატეგია და ეკონომიკურ ეფექტიანობაზე დამორჩილება;
- წარმოებასა და რეალიზაციას შორის დამოკიდებულება;
- ბაზარზე საქონლის სიცოცხლისუნარიანობის და რენტაბელობის თვალყურის დევნება;
- ახალი საქონლის კვლევა, დახვეწა და მისი გადაადგილება ბაზარზე.

ბაზარზე, საწარმოს მდგომარეობის ანალიზისათვის საჭიროა ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით, განისაზღვროს საწარმოს უპირატესი და სუსტი მხარეები, რომელთა განსაზღვრის შემდეგ საწარმო ირჩევს ბაზარზე მოქმედების სტრატეგიის საკუთარ ვარიანტს.

უალკოჰოლო სასმელებისა და მინერალური წყლების ბაზრის შესწავლის ერთ-ერთი ფაქტორია მყიდველთა ქცევის ანალიზი. ამის მიხედვით განისაზღვრება უალკოჰოლო სასმელებსა და მინერალურ წყლებზე მოთხოვნის ზომა. საბაზრო მოთხოვნა ინდივიდუალური მოთხოვნით

იქმნება. ბაზარზე უალკოჰოლო სასმელებისა და მინერალური წყლების მოთხოვნის რაოდენობა დამოკიდებულია არა მხოლოდ ფასზე, არამედ მომხმარებელთა შემოსავალზე, გემოვნებაზე. უალკოჰოლო სასმელებსა და მინერალურ წყლებზე მოთხოვნის გაზრდა შესაძლებელია, როდესაც ფიზიოლოგიური თვალსაზრისით იზრდება დადებითი გავლენა ორგანიზმზე.

უალკოჰოლო სასმელებისა და მინერალური წყლების ბაზარი, ისევე, როგორც ნებისმიერი ბაზარი ხასიათდება მყიდველსა და გამყიდველს შორის კონკრეტული ეკონომიკური ურთიერთობების განსაზღვრული სისტემით. უალკოჰოლო სასმელებისა და მინერალური წყლების ბაზრის კვლევის დროს მთავარია იმ ფაქტორების დადგენა, რომელთა მეშვეობითაც ხდება მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსება.

უალკოჰოლო სასმელების ბაზარი ტრადიციულად იყოფა სამ მსხვილ სეგმენტად: წვენები და წვენებშემცველი სასმელები, მინერალური და სასმელი წყლები და გაზირებული სასმელები. წვენების სეგმენტი აერთიანებს სხვადასხვა ხილისა და ბოსტნეულის წვენებსა და ნექტარს, წვენებშემცველ სასმელებს, აგრეთვე ხილფაფებს, გამზადებულს მოხმარებისთვის. სეგმენტში „მინერალური და სასმელი წყლები“ გაერთიანებულია ნატურალური და ხელოვნურად წარმოებული მინერალური წყლები, აგრეთვე წყაროს და/ან ხელოვნურად გაწმენდილი სასმელი წყალი ქარხნული შეფუთვით, რომელიც შესაძლებელია შეიცავდეს არამაქარშემცველ დანამატებს არომატიზატორების სახით. გაზირებულ სასმელებს მიეკუთვნება „კოლა“-ს ტიპის სასმელები, რომლებშიც გამოიყენება სხვადასხვა არომატული საწყისი, როგორცაა: ლიმონათი, ტონიკი, ბურაბი და ა. შ.

სამომხმარებლო თვალსაზრისით უალკოჰოლო სასმელები იყოფა ჩვეულებრივი და სპეციალური დანიშნულების სასმელებად.

ჩვეულებრივი სასმელები ძირითადად გამოიყენება, როგორც გამაგრილებელი სასმელი, რომელსაც ადამიანის ორგანიზმზე დადებითად მოქმედი ქიმიური შემადგენლობა აქვს. აქედან გამომდინარე, ამ ჯგუფის სასმელებს

უნდა ახასიათებდეს მოტკბო-მომჟაო, წყურვილის მოკვლის უნარი, კარგი გემო და სასიამოვნო არომატი. უალკოჰოლო სასმელები შეიცავს ორგანულ მჟავებს, მინერალურ ნაერთებს, ვიტამინებს, არომატულ ნაერთებს, ნახშირ-წყლებს და სხვ., ამიტომ, მათ ახასიათებთ სასარგებლო თვისებები, რომლებიც არეგულირებს წყლის ბალანსსა და ნივთიერებათა ცვლას ორგანიზმში.

სპეციალური დანიშნულების უალკოჰოლო სასმელები და მინერალური წყლები გარდა წყურვილის მოკვლის უნარისა და სასიამოვნო საგემოვნო თვისებებისა, ხასიათდება გარკვეული ფიზიოლოგიური თვისებებით, რის გამოც მათი დამზადება წარმოებს გარკვეული მიზნებისათვის ან როგორც პროფილაქტიკური საშუალება: გარკვეული დაავადებების თავიდან აცილების მიზნით ან კონკრეტული ფიზიოლოგიური ეფექტის მისაღებად. ამგვარ სასმელებში წამყვანი ადგილი უკავია მატონიზებულ სასმელებს და სასმელებს დიაბეტანებისათვის.

კვებითი და სამკურნალო ღირებულების მიხედვით თანამედროვე ბაზარზე წარმოდგენილი უალკოჰოლო სასმელები დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევიან. მრეწველობაში ნატურალური ხილის წვენის წარმოებას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მეცნიერების მიერ დადასტურებულია, რომ ხილის წვენი, თავისი კვებითი და სამკურნალო თვისებებით არ ჩამოუვარდება მის დასამზადებლად გამოყენებულ ახალ ხილს, ხოლო ზოგჯერ კი ხილის წვენს ხილთან შედარებით გარკვეული უპირატესობა აქვს. ნატურალური ხილის წვენის უპირატესი მნიშვნელობა, უპირველეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ მისი გამოყენება შესაძლებელია წლის ყველა დროს ერთნაირი ეფექტით.

საქართველო უალკოჰოლო სასმელებისა და მინერალური წყლების წარმოების პოტენციალიდან გამომდინარე ამ დარგის პროდუქტის ნეტო-იმპორტირიდან ნელ-ნელა ნეტო-ექსპორტორ ქვეყნად უნდა იქცეს, თუმცა აქ თავს იჩენს ქართული კვების პროდუქტების ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების აუცილებლობის პრობლემები.

პროდუქციის მაღალი ხარისხი აუცილებელი გარანტიაა წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობისა მსოფლიო ბაზარზე.

დღესდღეობით, საქართველოს ბაზარზე ჭარბი რაოდენობითაა წარმოდგენილი ფალსიფიცირებული უალკოჰოლო და მინერალური სასმელები. ეს განპირობებულია იმითაც, რომ საზღვარგარეთიდან ჩვენს ბაზარზე უხვად შემოდის ხელოვნური კომპონენტების ფართოს სპექტრი, რაც აქტუალურს ხდის საქართველოში წარმოებული პროდუქციის ტექნოლოგიური პროცესის სრულყოფა-განვითარებას და წარმოებული პროდუქციის ხარისხის კონტროლს.

საქართველოს გააჩნია უდიდესი ისტორიული ტრადიციები ყურძნისა და სხვადასხვა ხილის წვენის დაყენება-გადამუშავებისა და წარმოებისა.

ცნობილი ქართული ბრენდის „ლალიძის წყლები“-ს შემქმნელისა და სულისჩამდგმელის მიტროფანე ლალიძის მთავარი მიზანი იყო მდიდარი ქართული ნედლეულის გამოყენებით შეექმნა მაღალხარისხიანი ესენციები და ვაჟინები, რომლის საფუძველზეც აწარმოებდა განუმეორებელ გამაგრილებელ სასმელებს. მას მერე, საუკუნეზე მეტია, ქართული ბრენდი „ლალიძის წყლები“ უდიდესი პოპულარობით სარგებლობს მომხმარებელს შორის.

მ. ლალიძე, თავის მთავარ მიღწევად თვლიდა „ლიმნის“ ვაჟინისა და ლიმონათის წარმოება-გამოშვებას: „ლეგენდარული გემოს საიდუმლოება მდგომარეობს იმაში, რომ ლიმონის ცედრის მოშორება ხდება ხელით. ვაჟინისათვის გამოიყენება ცედრის მხოლოდ ზედა – ყვითელი ფენა. საკმარისია შეერიოს ქვედა – თეთრი ფენა, რაც გარდაუვალია მანქანური წესით გაფცქვნისას, და ვაჟინი შეიძენს არასასიამოვნო მწარე გემოს“

ქართული ტრადიციული, ეკოლოგიურად სუფთა, ტექნოლოგიურად დახვეწილი პროდუქტის წარმოება, საბედნიეროდ დღესაც გრძელდება და იმედია ქართულ და მსოფლიო ბაზარზე სათანადო ადგილს დაიკავებს.

არანაკლებ მოთხოვნადია ქართულ და მსოფლიო ბაზარზე ნატურალური ხილისა და ბოსტნეულის წვენები. ყურძნის წვენის, წითელი ღვინოების, ნატურალური საკვები არომატიზატორებისა და ხილ-კენკროვანთა

წვენებისა და ნაყენების ხარისხის განმსაზღვრელი ფაქტორების შესწავლა და წარმოებაში დანარგვა მეტად მნიშვნელოვანია ქართული პროდუქციის საერთაშორისო ბაზარზე საკუთარი – ეკოლოგიურად სუფთა, ჯანსაღი პროდუქციის ბაზრის ნიშის დასაკავებლად.

ნატურალური არომატიზატორების წარმოების განვითარება მეტად აქტუალურია ხარისხიანი კონკურენტუნარიანი უალკოჰოლო სასმელების დარგისთვის, რადგან ბოლო წლებში ქვეყანაში მძლავრად მოიკიდა ფეხი სინთეზურ არომატიზატორებზე დამზადებულმა უალკოჰოლო სასმელებმა, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მოსახლეობის, განსაკუთრებით ბავშვების ჯანმრთელობაზე.

საქართველოს მდიდარ ბუნებრივ რესურსებში განსაკუთრებული ადგილი უკავია მის მრავალრიცხოვან მინერალურ წყაროებს, რომელთა არსებობა და სიუხვე გარკვეულწილად განსაზღვრავს ქვეყნის ტერიტორიულ-რეკრეაციული სისტემის სპეციალიზაციას. მინერალური წყაროების მაღალი ბალნეო-თერაპიული თვისებების შერწყმა ბუნების განსაკუთრებულ სილამაზესთან და მრავალფეროვნებასთან, ხელსაყრელი კლიმატური პირობები, საშუალებას იძლევა საქართველოში განვითარდეს როგორც თანამედროვე მოთხოვნილების შესაბამისი ბალნეოლოგიური კურორტები ისე, სამკურნალო მინერალური წყლების ჩამოსხმა-წარმოება.

სასმელი მინერალური წყლით მკურნალობა ითვლება ერთ-ერთ უძველეს პოპულარულ მეთოდად, რომელიც გამოიყენება როგორც კურორტებზე, ისე კურორტების გარეშე. ეს წყლები წარმატებით გამოიყენება კურორტების გარეშე ავადმყოფების მკურნალობისათვის, რომელთაც ამა თუ იმ მიზეზით ვერ შეძლეს კურორტზე წასვლა.

საქართველოს მინერალურ წყლებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს რაჭის მინერალური წყლები. აღნიშნულ ტერიტორიაზე 44 სახეობის მინერალური წყალია აღმოჩენილი, აქედან 28 - სოფელ უწერისა და 16 დაბა შოვის ტერიტორიაზე. სწორი გამოყენებისა და მართვის პირობებში უწერისა და შოვის მინერალური წყლები შეიძლება უფრო სტრატეგიული მნიშ-

ვნელობის იყოს, მაგრამ ეს წარმოუდგენელია ცენტრალური ხელისუფლების შესაბამისი პოლიტიკისა და მწყობრი პროგრამების გარეშე.

განსაკუთრებული და უნიკალურია იმერეთის საკურორტო ზონებიც. უნიკალური სამკურნალო მინერალური წყლები, ჰავა და ულამაზესი ბუნება საშუალებას იძლევა ახალი, თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით მოხდეს მათი ხელახალი განაშენიანება. დღეისათვის იმერეთში 53 საკურორტო ბაზაა: საირმე, ნუნისი, წყალტუბო, სიმონეთი, სულორი, საწირე, სამტრედია, ზვარე, კვერეთი, ამაღლება და სხვ.

ზემოთ ჩამოთვლილი ბუნებრივი რესურსების მოსაპოვებლად და გადასამუშავებლად იმერეთში შესაძლებელია თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი საწარმოების შექმნა. სწორი მარკეტინგისა და ინფრასტრუქტურის მოწესრიგების შემთხვევაში თითოეული მათგანი პოპულარული გახდება მსოფლიოს ტურისტულ ბაზარზე. შესწავლილია ქვემო სვანეთის 42 მინერალური და მტკნარი წყალი. ასევე ზემო სვანეთის რკინიან-ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატულ-კალციუმ-ნატრიუმის (ცივი ნარზანის) ტიპის მინერალური და მტკნარი წყაროები. სვანეთის მინერალური წყლების განლაგება, მიუვალ ადგილებში სინჯების აღების სიძნელე და მოუხერხებლობა, მეტად ართულებს მათ შესწავლას და კერძოდ, გაზური შედგენილობის გამოკვლევას. შესწავლილია ყაზბეგის რაიონის მინერალური წყაროები, რომელიც ეკუთვნის რკინიან ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატულ-კალციუმის (ცივი ნარზანის) ტიპის წყლებს.

საქართველოს წყლის რესურსების 30% უმაღლესი ხარისხის მიწისქვეშა სასმელი წყალია. ასეთი შესაძლებლობებით ჩვენს ქვეყანას შეუძლია მსოფლიო დააკმაყოფილოს წყლით. სასმელი წყლის პრობლემა დღითიდღე აქტუალური ხდება. გასათვალისწინებელია სასაქონლო პროდუქციის წარმოების საუკუნოვანი გამოცდილება, მინერალური წყლების ტრადიციული ბაზრის არსებობა, ქვეყნის სიახლოვე აზიისა და აფრიკის არაბულ ქვეყნებთან, რომლებიც სასმელი წყლის დეფიციტს განიცდიან. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ XXI საუკუნეში ამ მხრივ კატასტროფული მდგომარეობა შეიქმნება რიგ ქვეყანაში. ამ საქმეში ძალზე მნიშვნელოვანია სარეკლამო საქმიანობის გაფართოება და ელექტრონუ-

ლი ვაჭრობის ორგანიზაცია, რომელიც ხელს შეუწყობს ბიზნესის განვითარებას და რომელიც წარმოუდგენელია გლობალურ და რეგიონულ პროცესებში ჩართვის გარეშე. მაღალი საექსპორტო პოტენციალისა და სტაბილური ზრდის რეალური პერსპექტივის გამო, საქართველოს მიწისქვეშა სასმელი წყლების ინდუსტრია ეროვნული ეკონომიკის პრიორიტეტული დარგი უნდა გახდეს. მისი განვითარების უზრუნველსაყოფად, დიდი მნიშვნელობა აქვს ადეკვატური სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბებას, რომელმაც ხელსაყრელი ბიზნეს – გარემო უნდა შექმნას.

უალკოჰოლო სასმელებისა და მინერალური წყლების ბაზარი დღეისათვის ერთ-ერთი უმთავრესი და მზარდი მოთხოვნილების ბაზარია. მისი განვითარებისთვის მეტად საჭიროა ადგილობრივი მწარმოებელი კომპანიებისათვის მაქსიმალური ხელშეწყობა, გრძელვადიანი საკრედიტო სისტემის ამოქმედება, საგადასახადო შეღავათების დაწესება, ბაზარზე სამართლიანი კონკურენციის უზრუნველყოფა, სარეკლამო ბიზნესის განხორციელება, უცხოური პროდუქტების კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორების შესწავლა და გამოყენება. დღეს, როდესაც ქვეყანა ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს გლობალურ ბაზარზე დამკვიდრებისაკენ, საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საწარმოო პოტენციალის ყოველ შემადგენელ ნაწილს, ყველა რესურსს, რომელიც გამიზნულია ბუნებრივი, შრომითი და მატერიალური რესურსების ეკონომიურ გამოყენებაზე და იძლევა როგორც ეკონომიკურ, ასევე სოციალურ ეფექტს.

ნაშრომის *მეორე თავი* „უალკოჰოლო სასმელების ბაზრის კვლევა“ - უალკოჰოლო სასმელების და მინერალური წყლების ბაზრის ნორმალიზებისა და კონკურენტუნარიანობის ქვაკუთხედს წარმოადგენს. ამ მიმართულებით ინტერესს იწვევს მომხმარებელთა დიფერენცირებული ჯგუფების მოთხოვნის შესწავლა და მისი ანალიზის საფუძველზე მოთხოვნის და ზოგადად ბაზრის პროგნოზირება. სწორედ საპროგნოზო გაანგარიშებანი უნდა დაედოს საფუძველად უალკოჰოლო სასმელებისა და მინერალური წყლების საწარმოთა სამოქმედო სრატეგიული გეგმების შედგენას. საპროგნოზო გაანგარიშება კი

მაშინ არის რეალური, თუ იგი მაქსიმალურად ითვალისწინებს გასული პერიოდის გამოცდილებას, მიმდინარე პერიოდში შექმნილ სიტუაციას და სამომავლო ტრენდებს.

ბაზრის კვლევისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მარკეტინგის სტრატეგიის მეთოდებს, მომხმარებელთა შესწავლას, ასორტიმენტის განახლებას და სრულყოფას, მაღალი ხარისხის უზრუნველყოფას, სამეურნეო კავშირურთიერთობებს. ბაზრის მოცულობის და სტრუქტურის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია ბაზრის ტენდენციების შესწავლა, ახალი სასმელის ხარისხისა და თვითღირებულების შეფასება, მომხმარებელთა ინტერესების განსაზღვრა, ფასების პოლიტიკის გაანალიზება, ასორტიმენტის ცვლილება მომხმარებელთა მოთხოვნის გათვალისწინებით.

უკანასკნელ პერიოდში, სახეზეა მინერალური წყლებისა და უალკოჰოლო სასმელების მოხმარების ზრდა, აგრეთვე მზრდადია მოთხოვნა ბუტილირებულ სასმელ წყალზე, რაც ძირითადად აიხსნება ეკოლოგიური სიტუაციითა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდით, რაც თავის მხრივ მკვეთრად ზრდის ნატურალური, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებისადმი მომხმარებლის სწრაფვას. ნატურალურ წვენებზე მოთხოვნისა და მიწოდების ტემპების ზრდის, აგრეთვე მოსახლეობის გადახდისუნარიანობის დონის გათვალისწინებით, უკანასკნელ პერიოდში უალკოჰოლო სასმელების მსოფლიო ბაზარზე შეინიშნება უფრო იაფი პროდუქტის – ნატურალური წვენშემცველი სასმელების გამოჩენა.

ექსპერტების აზრით, ნატურალური პროდუქტის მწარმოებლებს დღეს მეტი პერსპექტივა აქვთ მსოფლიო ბაზარზე თავის დამკვიდრების, ვიდრე ნახშირორჟანგითა და ხელოვნური არომატიზატორებით გაჯერებული სასმელების მწარმოებლებს.

უალკოჰოლო სასმელების ბაზრის სეგმენტირება ხდება ფასის მიხედვითაც: მაღალი და საშუალო ფასის სეგმენტი შევსებული აქვს მსხვილ, უცხოურ კომპანიებს, ხოლო დაბალი ფასის სეგმენტში კონკურენტული ბრძოლა ძირითადად ადგილობრივ, ლოკალურ მწარმოებლებს შორის მიმდინარეობს. ამ

უკანასკნელთ საკმაოდ მძაფრი კონკურენტული სიტუაციიდან აქვთ ორი გამოსავალი – შეძლებისდაგვარად წინ წაწიონ თავიანთი პროდუქცია პრემიუმ-სეგმენტში, ან ფსონი დადონ საშუალო და იაფფასიან **ეროვნულ-ბრენდულ** სასმელოზე.

უალკოჰოლო სასმელების წარმოება-რეალიზაცია ქართულ ბაზარზე ბოლო 5 წლის განმავლობაში განუხრელად მზრდადია ყველა სეგმენტში. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს ქართული უალკოჰოლო სასმელების ბრენდების მაღალ კონკურენტუნარიანობაზე, რაც განაპირობებს მომხმარებლისგან მოთხოვნის პერმანენტულ ზრდას. სასიხარულო ტენდენციაა ქართველი მომხმარებლისადმი ნატურალური ხილისა და ბოსტნეულის და კონცენტრირებული ხილის წვენების მიწოდების გაორმაგება ბოლო 5 წელიწადში .

უალკოჰოლო სასმელების წარმოება საქართველოში 2010-2015 წწ.
(საწარმოთა დეკლარირებული მონაცემები)

პროდუქცია	ზომის ერთეული	2010	2011	2012	2013	2014	2015*
მინერალური წყლები	ათასი დეკალიტრი	14286.3	15499.1	18029.1	21208.4	24465.0	18945.4
	ათასი ლარი	115302.7	128801.8	150627.2	229480.1	288269.5	224343.5
მტკნარი წყლის ჩამოსხმა	ათასი დეკალიტრი	2299.8	2972.3	3768.1	5018.2	6729.3	7920.6
	ათასი ლარი	8893.1	11127.2	15855.6	20954.0	27742.5	34337.5
უალკოჰოლო სასმელები	ათასი დეკალიტრი	15405.2	13742.6	19196.8	18955.1	22269.8	22108.0
	ათასი ლარი	135757.3	135911.9	186330.5	193192.3	227828.3	236048.5
ხილისა და ბოსტნეულის წვენები	ტონა	2855.0	3691.5	3986.8	4781.6	5230.1	4932.4
	ათასი ლარი	6945.0	9025.7	10216.7	12817.6	14510.3	16252.7
კონცენტრირებული ხილის წვენები	ტონა	652.0	5251.8	3918.3	1813.7	7261.5	657.7
	ათასი ლარი	1113.0	12638.9	12566.8	5681.8	18101.8	2111.6

უალკოჰოლო სასმელების ბაზარი საქართველოში თანდათან ფართოვდება. ამაზე მოწმობს ექსპორტის რაოდენობის განუხრელი ზრდაც. უალკოჰოლო სასმელების უმსხვილეს მომხმარებელს წარმოადგენს აზიის რეგიონი. წარმოებული უალკოჰოლო სასმელების 20% მოიხმარს ჩრდილოეთი ამერიკა და აღმოსავლეთი ევროპა, ხოლო მთლიანი პროდუქტის 10 %-ს _ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები.

რუსეთის უალკოჰოლო სასმელებისა და მინერალური წყლების ბაზარი ერთ-ერთი უმსხვილესია მსოფლიოში და Euromonitor International-ის ექსპერტთა შეფასებით მე-10 ადგილს იკავებს.

ევროკავშირის ბაზარზე კი უალკოჰოლო და მინერალური წყლების ექსპორტი საქართველოდან ექსპორტირებულ სასაქონლო ჯგუფებს შორის 10 და 11 ადგილზეა.

ცხრილი 3. ევროკავშირში ექსპორტი უმსხვილესი (ტოპ 10) სასაქონლო ჯგუფების მიხედვით 2012-2015 წწ [37]

HS კოდი	დასახელება	მილიონი აშშ დოლარი			
		2012	2013	2014	2015
	სულ, მათ შორის	352.9	607.1	624.1	646.4
703	მსუბუქი ავტომობილები	57.2	51.6		11.3
603	მადნები და კონცენტრატები სპილენძის	53.5	161.6	180.2	153.1
802	თხილი და სხვა კაკალი	51.1	116.4	143.6	149.0
102	სასუქები მინერალური ან ქიმიური, აზოტოვანი	40.8	51.7	32.3	65.9
709	ნავთობი ნედლი და ნავთობპროდუქტები ნედლი, მიღებული ბიტუმოვანი მინერალებისაგან	26.8	40.7	33.2	77.9
208	ეთილის სპირტი არადენატურირებული, სპირტის კონცენტრაციით, 80მგ. %-ზე ნაკლები, სპირტიანი სასმელები	11.9	29.8	24.3	13.7
404	ნარჩენები და ჯართი სპილენძისა, მვირფასილითონებისა, მვირფასილითონებით მიტკეილილითონებისა	11.1	25.1		
204	ყურძნის ნატურალური ღვინოები	9.1	10.7	13.8	12.5
009	ხილისა და ბოსტნეულის წვენები	9.0			
201	მინერალური და მტკნარი წყლები	7.5	8.6	11.3	10.7
202	ფეროშენადნობები		25.1		21.0
	დანარჩენი საქონელი	74.9	100.6	127.06	131.4

საქართველოს უალკოჰოლო სასმელების ბაზრის კვლევისთვის განხილული მასალების ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია ჩამოვყალიბოთ დასკვნის სახით შემდეგი:

1. ქართული უალკოჰოლო სასმელების ბაზარი საკმაოდ განვითარებული და მაღალორგანიზებულია, ეს განსაკუთრებით ეხება მინერალური სასმელების ბაზარს; ადგილობრივმა მწარმოებლებმა შანსი არ დაუტოვეს იმპორტულ საქონელს, თუმცა პერიოდულად ხარისხის კონტროლი არ ავნებდა ყველაზე ცნობილი ბრენდების ნაწარმსაც კი.

2. უალკოჰოლო გაზიანი სასმელების ბაზარი (ლიმონათების წარმოება) მიუხედავად მრავალფეროვანი ასორტიმენტისა, ხარისხისადმი ერთგვარ კითხვებს ტოვებს: ექსპერტები ქართული წარმოების ლიმონათებში ქიმიური საღებავების გამოყენებას ადასტურებენ და აცხადებენ, რომ ლიმონათებში არსებული წითელი და მწვანე საღებავები, მათი კანცეროგენულობის გამო, ჯანმრთელობისათვის საზიანოა.

3. ქართული უალკოჰოლო გაზიანი სასმელების ბაზრის 75%-მდე „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ ბრენდებს – „კოკა-კოლას“, „ფანტასა“ და „სპრაიტის“ პროდუქციას უკავია და, მიუხედავად იმისა რომ ამ ბრენდების სასმელების ჩამოსხმა საქართველოში ხდება, მათი წარმოება იმპორტული ნედლეულის გამოყენებით ხორციელდება, ხოლო ამ პროდუქციის უვნებლობაზე ხარისხის კონტროლის დაბალი დონე აშკარად არასახარბიელო შედეგს იძლევა.

ქართული ბუნების და რესურსის მრავალფეროვნება, მოპოვებისა და გადამამუშავების ხელმისაწვდომობა, საშუალებას იძლევა საქართველოში იწარმოებოდეს ეკოლოგიური, მარალხარისხიანი და კონკურენტუნარიანი პროდუქცია, რომლის ნიშაც ყოველთვის თავისუფალია როგორც ქართულ ისე საერთაშორისო ბაზარზე.

ნაშრომის *მესამე თავი* - „ადგილობრივი ნედლეულის ბაზარზე უალკოჰოლო სასმელების ბაზრის განვითარების პერსპექტივები საქართველოში“. ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლება განსაკუთრებით

მნიშვნელოვანი გახდა დღევანდელი გლობალიზებული მსოფლიოს პირობებში. ამ შეჯიბრებაში იმარჯვებენ ის ქვეყნები, რომლებიც მეწარმეებს ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის საუკეთესო პირობებს სთავაზობენ.

ქვეყანაში ინოვაციების, ძლიერი, კონკურენტუნარიანი, რეგულაციური ტექნოლოგიების შექმნისა და დანერგვის აუცილებლობის წინაპირობებიდან უმნიშვნელოვანესია – ძლიერი კერძო სექტორისა და ბაზარზე არსებული მაღალი კონკურენციის არსებობა. შეიძლება მეორეც დავამატოთ: სახელმწიფოს გააზრებული, მიზანმიმართული საინოვაციო პოლიტიკა, რომელიც წახალისებს ტექნოლოგიებზე დაფუძნებული მცირე და საშუალო საწარმოების შექმნას, კონკურენციას და, შესაბამისად, მათ მიერ ახალი ინოვაციური ტექნოლოგიების მოძიება-შექმნასა და შემოტანა-დანერგვას.

საქართველოს ჩართვამ ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში (ENP) დასაბამი მისცა ქვეყნის ევროკავშირთან ინტეგრაციის ახალ ეტაპს, როცა ბაზარი სთავაზობს მეწარმეებს ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის საუკეთესო პირობებს, ხოლო მსოფლიოს და პირველ რიგში საკუთარ ხალხს ეკონომიკის და ყოფა-ცხოვრების ახლებურ, პერსპექტიულ და ინოვაციურ გზას.

თანამედროვე ტექნოლოგიური ცვლილებების ფონზე, როდესაც ბაზარზე კონკურენტული ბრძოლაა გამძაფრებული, უდიდესი და გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ბაზრის კვლევის სწორად წარმართვას. მის უმნიშვნელოვანეს ამოცანას კი, პროდუქციის ხარისხი და კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ქვეყნის ეკონომიკის კაპიტალიზაციას მივყავართ საბაზრო ეკონომიკისა და კონკურენციული გარემოს გაფართოებასა და გაღრმავებისაკენ, პროდუქციის ხარისხისა და უსაფრთხოებისადმი მოთხოვნის ამაღლებისაკენ.

ნებისმიერი საწარმო ახალ შესაძლებლობათა მიებას სისტემატურად უნდა ახორციელებდეს, რადგან ეს მისი მუშაობის სრულყოფის საწინდარია. შეუძლებელია ორიენტაცია მუდმივად ეყრდნობოდეს ერთსა და იმავე ბაზას

და საქონელს ისე, რომ არ იქნეს შეტანილი ცვლილება. ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ საზოგადოების განვითარებასთან ერთად, ცვლილებას განიცდის საზოგადოების წევრთა მოთხოვნილება, ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია კონკურენციის მდგომარეობა, რომელიც აიძულებს საწარმოს გააუმჯობესოს საქონლის ხარისხი, ეძებოს გასაღების ახალი ბაზრები, განამტკიცოს პოზიციები მიზნობრივ ბაზარზე. ბაზრის კვლევა, როგორც საქმიანობა, აუცილებელი გახდა გაჯერებული და გაუჯერებელი ბაზრის პირობებში.

სპეციალისტები თვლიან, რომ ნატურალური და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტები უნდა ხასიათდებოდეს კვებითი ღირებულებით, მაღალი საგემოვნო თვისებების, ფიზიოლოგიური ზემოქმედების მაღალი ხარისხით, ისინი უნდა ემსახურებოდეს ჯანმრთელობის შენარჩუნებას და სწრაფად და ადვილად ადაპტირებას განუწყვეტლივ ცვალებადი გარემომცველი სასიცოცხლო პირობებისადმი.

ვინაიდან საქართველოში ჩამოსხმული უალკოჰოლო სასმელები და მინერალური წყლები გამოირჩევა მაღალი ფიზიოლოგიური აქტივობით და მისი თვისებებიდან გამომდინარე მიეკუთვნება „ფუნქციონალური კვების პროდუქტების“ რიცხვს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია განვიხილოთ მათი კონკურენტუნარიანობა და ადგილი მსოფლიო ბაზარზე.

როგორც ვიცით, საქართველო მცირე მწარმოებელთა კატეგორიას განეკუთვნება და ამ თვალსაზრისით კონკურენციის გასაწევად მხოლოდ სპეციფიური უპირატესობები გააჩნია. თუმცა ფარდობითი უპირატესობის მიხედვით საქართველო, როგორც ამას ექსპორტის მაჩვენებლები მოწმობს, შესაძლებელია კონკურენტუნარიანი გახდეს სტრატეგიული პროდუქტების წარმოებით. კლასიკური თეორიის თანახმად, კონკურენტული სტრატეგიის იდეა სწორედ განსხვავებული ნიშის მოძებნაში მდგომარეობს.

ქვემოთ მოყვანილია ქართველი ექსპორტიორებისათვის საინტერესო აგროსასურსათო პროდუქტების ჩამონათვალი, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს რომ არცერთი ამ პროდუქტებიდან საქართველოდან არ შედის ევროკავშირის

ქვეყნებში (ყურძნის დურდოს გარდა). ამ კატეგორიის პროდუქტის წილი მთლიან სასოფლო სამეურნეო პროდუქციასი მნიშვნელოვანია და საერთო ექსპორტის 20%-ს.

ცხრილი 4. პროდუქტები, რომლებზეც ამჟამად ვრცელდება GSP+0 სატარიფო შეღავათები

კოდი	პროდუქტი	ევროკავშირის გადასახადის ჩვეულებრივი განაკვეთი (%)
08061010	სუფრის ყურძენი	20
08092100	მჟავე ალუბალი, ახალი	12
08093010	ნექტარინი	17.6
08094005	ქლიავი, გარგარი	26.4
08091000	სხვადასხვა სახეობის ახალი ხილი	22.4
2009	სხვადასხვა სახეობის ხილის ჩირი	20

როგორც ვხედავთ, მსოფლიო ბაზარზე არსებობს ერთგვარი საქართველოს აგრობიზნესისთვის პერსპექტიული ნიშა, რომელზეც სათანადო ადგილი შეუძლია დაიკავოს ქართულმა ეკოლოგიურმა ხილ-კენკროვანმა პროდუქციამ.


ბაზრის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, უალკოჰოლო სასმელების და მინერალური წყლების ადგილობრივმა მწარმოებლებმა, კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად უნდა იზრუნონ „ახალი თაობის“ – ეკოლოგიურად სუფთა, ბუნებრივი ნედლეულით დამზადებული, ბალანსირებული შემადგენლობის და სამკურნალო თვისებების პროდუქციის წარმოებისათვის.

საწარმო, რომელიც თავის პოლიტიკას ააგებს ისეთ ფუნდამენტზე, სადაც მთავარი პრინციპია – მომხმარებლის დაკმაყოფილება, უნდა იზრუნოს, რომ ეს ფუნდამენტი იყოს მყარი. ამისათვის აუცილებელია შეიცვალოს პროდუქტის პროექტირებისა და წარმოებისადმი მიდგომა და ბაზრის სემენტირების პრინციპი, რათა მიაღწიოს კონკურენტულ უპირატესობას [55].

21-ე საუკუნის გამოწვევების ფონზე, საქართველოს რეგიონების განვითარების თანამედროვე პარადიგმა სასურველია და აუცილებელიც დაეფუძნოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რეალური მდგომარეობის ანალიზს. აუცილებელია რეგიონების სოციალურ-ეკონომი-

კური კვლევა, ანალიზი და შეფასება, როგორც თვისობრივ, ასევე რაოდენობრივ კრილში.

ჩვენ აზრით, საქართველოში იდეალური პირობებია უალკოჰოლო-მინერალური სასმელების, ნატურალური სასმელი წყლის, მოპოვება-წარმოებისა და რეკრეაციული ტურიზმის კლასტერიზაციისთვის. ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველოში წარმატებით განვითარდება წყლის (მინერალური და სასმელი), ტურისტულ-გამაჯანსაღებელი და ტურისტულ-საკურორტო კლასტერები. მინერალური წყლის კლასტერის მოდელი მოცემულია ნახაზზე



საქართველოში არსებული მდგომარეობა და ევროპის მცირე ქვეყნების გამოცდილება გვკარნახობს, რომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სტრატეგიულ ამოცანად აღიარებულ უნდა იქნას წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის რადიკალური ამაღლება საინოვაციო საქმიანობის პრინციპული გაუმჯობესებით, არსებული პოტენციალის გონივრული გამოყენებით და შესაბამისი კლასტერების შექმნით.

შერჩეული პრიორიტეტების რეალიზაციისთვის გამოყენებული უნდა იქნას მსოფლიო გამოცდილება. კერძოდ, ექსპორტზე ორიენტირებული

სამრეწველო კლასტერების ჩამოყალიბება, სტიმულირება და ხელშეწყობა, რომლის პრაქტიკული, მადალეფექტური შედეგი უკვე აჩვენეს ნორვეგიამ, კანადამ, ფინეთმა, ავსტრალიამ და ჩილემ. გარდა ამისა, უნდა შეიქმნას მცირე და საშუალო ადგილობრივი საწარმოები ადგილებზე და ცენტრში ინოვაციათა გამოყენებისათვის, რისი წარმატებული მაგალითია ჩინეთი და ტაივანი.

კლასტერი რეგიონის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია და ბევრი ექსპერტის აზრით კლასტერულ მიდგომას არა აქვს ალტერნატივა. მითუმეტეს, რომ საქართველოს რეგიონებში არსებობს წერტილოვანი წარმატების წინაპირობები კლასტერის შესაქმნელად.

დღეს მსოფლიოში ძნელად მოიძებნება საქართველოს შესაძლებლობების მქონე სხვა ქვეყანა, რომელსაც გააჩნია ადგილობრივი ეკოლოგიურად სუფთა მინერალური და სასმელი წყლებისა და ხილ-კენკროვანი ნედლეულის წარმოების მაღალი პოტენციური შესაძლებლობა. ნატურალური ნედლეული და არატრადიციული ტექნოლოგია განაპირობებს მის სამკურნალო-პროფილაქტიკურ თვისებებს და მაღალკონკურენტუნარიანობას.

დასკვნა

ყოველივე ზემოთქმულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ:

➤ საქართველოს ნატურალურ ნედლეულზე დამზადებული მაღალხარისხოვანი უალკოჰოლო სასმელების და განსაკუთრებული მნიშვნელობის მინერალური წყლების წარმოებით ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია.

➤ უალკოჰოლო სასმელების კვებითი და სამკურნალო ღირებულება მეტად დიდია. მეცნიერების მიღწევები კვების დარგში ფართოდ აშუქებს იმ როლს, რასაც ხილი და მისი გადამუშავების პროდუქტები, მინერალური წყლები და სხვა უალკოჰოლო სასმელები იძლევიან ადამიანის ჯანმრთელობის საქმეში. სპეციალური დანიშნულების სასმელები გარდა წყურვილის მოკვლის უნარისა და სასიამოვნო გემოვნური თვისებებისა, ხასიათდება

გარკვეული ფიზიოლოგიური თვისებებით, რის გამოც მათი დამზადება წარმოებს გარკვეული მიზნებისათვის ან როგორც პროფილაქტიკური საშუალება გარკვეული დაავადების თავიდან აცილების მიზნით ან კონკრეტული ფიზიოლოგიური ეფექტის მისაღებად.

➤ საქართველოს ბუნებრივი-კლიმატური პირობები საშუალებას იძლევა ვაწარმოოთ მაღალი ხარისხის და ფართო ასორტიმენტის უალკოჰოლო სასმელები. ნატურალურ ნედლეულზე დამზადებულმა მაღალხარისხოვანმა და ორიგინალურმა სამამულო წარმოების სასმელებმა კონკურენცია უნდა გაუწიოს საზღვარგარეთიდან შემოზიდულ, ძვირადღირებულ კონცენტრატებზე დამზადებულ უალკოჰოლო სასმელების რეალიზაციას.

➤ თანამედროვე ეტაპზე უალკოჰოლო სასმელების წარმოება დიდი გარდაქმნების წინაშე დგას. მოითხოვს წარმოების კონცენტრაციას, სპეციალიზაციას, გადაიარაღებას, უახლესი ტექნოლოგიური ბაზების დამონტაჟებას და მოძველებული წარმოებების ლიკვიდაციას, მძლავრი სანედლეულო ბაზის შექმნას.

➤ საქართველოში მინერალური და მტკნარი წყლების უდიდესი მარაგები, მათი სიახვე საშუალებას მოგვცემს მაქსიმალურად გავზარდოთ ექსპორტი და შესაბამისად სავალუტო შემოსავალი.

➤ აუცილებელია მინერალური და სასმელი წყლის რესურსების გამოვლენა, მოპოვება, წყაროების და ჭაბურღილების ექსპლუატაცია კონცენტრირებულ იქნეს ერთი უწყების დაქვემდებარებაში, რომელიც პასუხისმგებელი იქნება წყლის რაციონალურად და დანიშნულებით გამოყენების, სანიტარულ-ჰიგიენური და ეკოლოგიური ღონისძიებების დაცვაზე.

➤ საჭიროა საქართველოს წყლების საერთაშორისო აღიარებისათვის ევროპის ურთიერთთანამშრომლობის კავშირის რეკომენდაციების გათვალისწინება და საერთაშორისო ბაზრის მარკეტინგული შესწავლა. უნდა შეიქმნას ერთიანი კომპეტენტური ორგანიზაცია, რომელიც კოორდინაციას გაუწევს მინერალური და სასმელი წყლის ჩამოსხმას და რეალიზაციას.

➤ ყურადღება უნდა მიექცეს ასორტიმენტის საკითხს. საჭიროა ძველი მრავალფეროვანი ასორტიმენტის უალკოჰოლო სასმელების წარმოება და შეიქმნას ახალი ასორტიმენტი, მაგრამ მანამდე შესწავლილი უნდა იქნას ბაზრის იმ სეგმენტის მოთხოვნები, რომელთა მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის არის გამიზნული.

➤ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას თანამედროვე პირობებში აუცილებელ პირობას წარმოადგენს პროდუქციის ხარისხის ამაღლება. ამიტომ საჭიროა დიდი ყურადღება დაეთმოს უალკოჰოლო სასმელების და მინერალური წყლების ხარისხის გაუმჯობესებას. უალკოჰოლო სასმელების ხარისხი, საგემოვნებო თვისებები უპირველეს ყოვლისა დამოკიდებულია გამოყენებული ნედლეულის ხარისხზე და სიმწიფის ხარისხზე. მათ უნდა ახასიათებდეთ განსაკუთრებული ტექნოლოგიური თვისებები. ამისთვის საჭიროა მკაცრი კონტროლის დაწესება ხარისხზე, რათა მოსახლეობა უზრუნველყოფილი იქნეს მაღალხარისხოვანი სასმელების ასორტიმენტით. უალკოჰოლო სასმელების ხარისხის გაუმჯობესება ხელს შეუწყობს საწარმოებს შორის კონკურენციის მექანიზმის ამოქმედებას.

➤ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს უალკოჰოლო სასმელების მდგრადობის საკითხს. შემუშავებული უნდა იქნეს მდგრადობის გახანგრძლივების გზები.

➤ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ამოსავალი წერტილია მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების მოთხოვნის დაფიქსირება და მუშაობის წარმართვა მათი დაკმაყოფილებისათვის, სისტემურად უნდა ტარდებოდეს მომხმარებელთა ანკეტური გამოკითხვები, შედეგების განზოგადება, მოსახლეობის ტიპოლოგია და ბაზრის ცალკეული სეგმენტის მოცულობის განსაზღვრა. ანკეტური გამოკითხვების შედეგად მიღებული ინფორმაციის ხარისხი და ოპერატიულობა, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ბაზარზე ფირმის წარმატებასა თუ წარუმატებლობას.

➤ უალკოჰოლო სასმელებისა და მინერალური წყლების ბაზარი, ისევე როგორც ნებისმიერი ბაზარი ხასიათდება მყიდველსა და გამყიდველს შორის

კონკრეტული ეკონომიკური ურთიერთობების განსაზღვრული სისტემით. უალკოჰოლო სასმელებისა და მინერალური წყლების ბაზრის კვლევის დროს მთავარია იმ ფაქტორების დადგენა, რომელთა მეშვეობითაც ხდება მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსება, რაზეც ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსება, რაზეც არსებით გავლენას ახდენს მნიშვნელოვანი ეკონომიკური კატეგორია – ფასი. მიუხედავად იმისა, რომ ბაზრის აუცილებელი მექანიზმი თავისუფალი ფასებია, მოსახლეობის აზრით, უალკოჰოლო სასმელები უნდა გაიყიდოს ისეთ ფასში, რომ ის ხელმისაწვდომი იყოს მოსახლეობის ყველა ფენისათვის.

➤ საბაზრო ურთიერთობების პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რეკლამას. რეკლამა განიხილება, როგორც მარკეტინგული მიზნების მიღწევის ერთ-ერთი ქმედითი საშუალება, რომელიც ხელს შეუწყობს მოცემული პროდუქციის ყველა იმ დადებითი თვისებების საუკეთესოდ წარმოჩენას, რაც თავის მხრივ, გაზრდის მომხმარებელთა მოთხოვნის დაკმაყოფილების დონეს.

➤ საქართველოში არსებული მდგომარეობა და ევროპის მცირე ქვეყნების გამოცდილება გვკარნახობს, რომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სტრატეგიულ ამოცანად აღიარებულ უნდა იქნას წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის რადიკალური ამაღლება საინოვაციო საქმიანობის პრინციპული გაუმჯობესებით, არსებული პოტენციალის გონივრული გამოყენებით და შესაბამისი კლასტერების შექმნით.

ინფორმაცია ნაშრომის აპრობაციის შესახებ

დისერტაციის ძირითადი შინაარსი გამოქვეყნებულია შემდეგ შრომებში:

მოხსენიებულია ორ სემინარში:

1. „სურსათის სამომხმარებლო ბაზარზე ფალსიფიკაციისა და უვნებლობის ასპექტები“ – 11.02.2015
2. „რეგიონული მოხმარების სტიმულირება“ – 06.07.2015

სამ კოლოქვიუმში:

1. „უალკოჰოლო სასმელებისა და მინერალური წყლების ბაზარი და მისი ფორმირების თავისებურებანი“ – 12.02.2015.
2. „უალკოჰოლო სასმელების და მინერალური წყლების ბაზრის ანალიზი“ – 07.07.2015
3. „უალკოჰოლო სასმელებისა და მინერალური წყლების ბაზრის განვითარების პერსპექტივები“ – 17.02.2016.

სტატიები:

1. „საქართველოს სტრატეგიული რესურსი - მინერალური წყლები („ბორჯომის“ წარსული და აწმყო)“ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, №3, 2014, გვ. 127-131.
2. „ბიზნესის განვითარება და მოსახლეობის ცხოვრების დონე საქართველოს რეგიონებში“ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, №2, 2014, გვ. 18-20.
3. „ქართული უალკოჰოლო სასმელების ბრენდების ისტორია - ლალიძის წყლები“, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, №5, 2014, გვ. 129-132.

კონფერენციები:

1. მოხსენება: „ფუნქციური ურთიერთქმედება სერვისულ მენეჯმენტში“. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია | რეგიონული სიმპოზიუმი თემაზე „საკრუიზო ტურიზმი - მსოფლიო გამოცდილება და მისი გან-

ვითარების პერსპექტივები შავი ზღვის რეგიონში“, ბათუმი, 30 აპრილი, 2014.

2. მოხსენება: „ტერიტორიული მენეჯმენტის საკითხისათვის“. გ. თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი III რეგიონული სიმპოზიუმი „საკრუიზო ტურიზმი - მსოფლიო გამოცდილება და მისი განვითარების პერსპექტივები შავი ზღვის რეგიონში“, თბილისი, 25-26 მარტი, 2016.